საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/13

ქ.თბილისი

„ 24 „ აგვისტო 2018 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგრენდინგისა და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ბრენდინგის მომსახურების კონკურსის გზით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ, სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის გზით განსახორციელებლად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^2 მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისი №7 ბრძანების მე-4 მუხლის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად, საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 03 დეკემბრის N760/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე კომისიის 2018 წლის 23 აგვისტოს N508/22 გადაწყვეტილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. კომისიის რეგრენდინგისა და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ბრენდინგის მომსახურების კონკურსის გზით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახი ბექაური - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ივანე მახარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსი);

გ) ლანა ბერიძე - საკონკურსო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი);

ბ) ალექსანდრე ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი);

ე) ლევან გაგუა - საკონკურსო კომისიის წევრი (კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფის უფროსი);

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს საკონკურსო კომისიის წევრ ლევან გაგუას;

3. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) პავლე ანთელავა - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფის სპეციალისტი);

ბ) თამარ ხუხუნაიშვილი - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი (კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი);

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური